განმცხადებელი : გიორგი ისაკაძე

თარიღი : 20-01-2025

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 7;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : სიუჟეტის ავტორი: გიორგი აბაზაძე, ტელეკომპანია "იმედი"

სადავო
მასალა : https://www.imedi.ge/ge/video/179332/isakadze--biznesbulingis-organizatori 26 დეკემბერი, 2024 - 20:22 ტელეკომპანია "იმედი"

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის
დასაბუთება : პრინციპი 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ჩემი მოსაზრებით, მითითებულ სიუჟეტში, (https://www.imedi.ge/ge/video/179332/isakadze--biznesbulingis-organizatori) რომელიც ტელეკომპანია იმედის ეთერში 2024 წლის 26 დეკემბერს გავიდა, საზოგადოებისთვის არათუ ზუსტი ინფორმაციის, არამედ ინფორმაციის მიწოდება საერთოდ არ იყო მიზანი.სიუჟეტი აგებულია კონკრეტული პირების განცხადებებზე, მათი მხრიდან გაჟღერებულ ბრალდებებზე და ცილისწამებაზე და არც ერთ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური წყარო, საჯარო ინფორმაცია ან თუნდაც ამ შემთხვევაში ადრესატის მხრიდან პასუხის მიღების მცდელობაც არ ყოფილა. გადაცემის წამყვანი სიუჟეტის წარდგენისას გიორგი ისაკაძეს წარადგენს როგორც ბიზნესის გაფიცვის მოწოდებების ავტორს,(პარლამენტის თავმჯდომარე ბიზნესის თავისუფლებაზე საუბრისას გიორგი ისაკაძეს წარსულს ახსენებს, ახლა ბიზნესის გაფიცვის მოწოდებების ავტორი, წარსულში ქართუ ბანკის გაკოტრების საქმეში ამხილეს, ეს ფაქტი და აწმყოში ისაკაძის აქტივობა შალვა პაპუაშვილისთვის ცინიზმია. გიორგი აბაზაძე გიამბობთ.) რაც სრული სიცრუეა და არც ერთხელ მსგავსი შინაარსის განცხადება/მოწოდება ჩემი როგორც წამყვანის მხრიდან არ გაკეთებულა. რაც შეეხება მხილებას რამე საქმეში და მით უფრო ბანკი “ქართუ”-ს გაკოტრების საქმესთან დაკავშირებითაც გადაცემის წამყვანს და სიუჟეტის ავტორს შეეძლოთ სულ მცირე საჯარო ოფიციალური წყაროებიდან მოეპოვებინათ ინფორმაცია და მაყურებლისთვის სწორი ინფორმაცია შეეთავაზებინათ და არ წარედგინათ ერთ ერთი სააგენტოს ნიუსის სქრინი როგორც ფაქტი ან წყარო. ის, რომ სიუჟეტის ავტორს, ისევე როგორც წამყვანს და ტელეკომპანიის რედაქციას მიზნად არ ჰქონდათ მაყურებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ამის ეჭვს ამყარებს ისიც, რომ არც სიუჟეტის ავტორს და არც ტელეკომპანიის რომელიმე

სხვა თანამშრომელს სიუჟეტის მომზადებისას არ მოუმართავს სიუჟეტში გაჟღერებულ ბრალდებებთან დაკავშირებით საპასუხო კომენტარის ან როგორც სიუჟეტის მათი ვერსიით, მთავარი "გმირისგან" მიეღოთ დამადასტურებელი ან უარმყოფი პოზიცია. სიუჟეტის ავტორს და ისევე როგორც ამ რეპორტაჟის წარმდგენს, რომ არ სურდათ რეალური ფაქტების გადმოცემა ამას ადასტურებს ამავე სიუჟეტის ერთ ერთი რესპონდენტის ფრაზა, რომელიც ჟურნალისტის ტექსტს არ ემთხვევა. მაგალითად ნიკოლოზ გულია ამბობს რომ გიორგი ისაკაძე იყო "კლიენტის წარმომადგენელი" რაც ნიშნავს რომ გიორგი ისაკაძე წარმოადგენდა ამ ბიზნესში კონკრეტულ პირს და თავად არ იყო ბიზნესის მფლობელი(კომენტარი: (ნიკოლოზ გულუა – „ქართუ ბანკის" იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი.) კლიენტის წარმომადგენელი და თავმჯდომარე იყო გიორგი ისაკაძე, რომელმაც აღიარა 2007 წლის არ არსებული საგადასახადო ვალდებულება და ამ ვალდებულების გამო განხორციელდა ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული ქონების, რამდენიმე მილიონის ღირებულების ქონების სახელმწიფოდ სასარგებლოდ რეალიზაცია და ბანკის იპოთეკის გაუქმება.) და სიუჟეტის ავტორი ამ კომენტარის შემდეგ ამბობს,რომ:"დღეს ბიზნესის ფაშისტური ბულინგის ორგანიზატორი სააკაშვილის რეჟიმის მიერ შექმნილი სქემის ერთ ერთი მთავარი ფიგურანტი, გიორგი ისაკაძეა."რაც შეეხება ბულინგის ორგანიზებას, ასევე სრულიად უსაფუძვლოა ასეთი ბრალდება, რადგან ვერავის მიმართ არათუ "ბულინგს",არამედ დამუნათების ვერც ერთ ფაქტს ვერ მოიტანს სიუჟეტის მომზადებაში ჩართული მხარე, ვერც კონკრეტული რეპორტიორი ან წამყვანი, ვერც მათი საინფორმაციო სამსახური და ტელეკომპანია ერთად აღებული. შესაბამისად, ვთვლი, რომ გარდა იმისა, რომ სიუჟეტის მომზადებისას არც საზოგადოების ინფორმირება იყო მიზანი და არც სიმართლისადმი პატივისცემის სურვილს არ ჰქონია ადგილი. პრინციპი 3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. პატივს ვცემ ნებისმიერი ჟურნალისტის მიერ მოპოვებულ ნებისმიერ მასალას იმ წყაროებზე დაყრდნობით რომელიც მათ აქვთ, თუმცა კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიმაჩნია რეპორტიორების მხრიდან, წყაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციების გადამოწმება და ბალანსის დაცვა, რომელიც საბოლოოდ ასახული უნდა იყოს ნებისმიერ მედია პროდუქტში, რისი საშუალებაც, მე ამ კონკრეტულ სიუჟეტში არ მომეცა, რადგან არც კონკრეტულად ეს ჟურნალისტი და არც ტელეკომპანიის სხვა წარმომადგენელი არ დამკავშირებია. მითუმეტეს რა წყაროებს ეყრდნობა ჟურნალისტი ერთდროულად რამდენიმე ბრალდების გაჟღერებისას რეპორტაჟში არ ჩანს. სიუჟეტის ავტორს არცერთ შეფასებაზე და ზედსართავზე, რომელიც ჩემი მისამართით იყო გამოყენებული ამ რეპორტაჟში ფაქტი არ წარუდგენია და საკუთარ შეფასებებზე დაყრდნობით გადმოსცემდა "ინფორმაციას".ასევე სიუჟეტის ავტორი ამბობს, რომ ჩემი, გიორგი ისაკაძეს შექმნილია პლატფორმა Freebusiness.ge რისი დამადასტურებელი არც დოკუმენტი აქვს და არც ვინმე უდასტურებს ამ ინფორმაციას. ინფორმაციისთვის, აღნიშნული ფაქტიც სიცრუეა, რადგა გიორგი ისაკაძე არ გახლავთ პლატფორა "freebusiness.ge"-ს არც დამფუძნებელი და არც შემქნელი. თავის მხრივ შალვა პაპუაშვილის

განცხადება არ შეიძლება რამის დასტურად ჩაითვალოს რადგან გარდა იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ტრიბუნიდან გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები სრულად მოკლებულია საფუძველს,ის ამ კონკრეტულ სიუჟეტში არის მხარე, რომლის პასუხის შესაძლებლობა ამავე სიუჟეტში არ მომეცა.სიუჟეტის ავტორი როგორც მის მიერ მომზადებულ მასალაში ჩანს, არც თავად ამ პლატფორმის დამფუძნებელს (გიორგი ჩუგოშვილი) დაჰკავშირებია,რომ ეს ინფორმაცია მასთან გადამოწმებულიყო, მაშინ როცა საჯაროდ ცნობილია ვინ არის პლატფორმის დამფუძნებელი.შესაბამისად მცდელობა რომ ავტორს დადასტურებული ინფორმაცია მიეწოდებინა საზოგადოებისთვის არ ჰქონია,რაც ასევე გადამომოწმდა ჩვენს მიერ. პრინციპი 7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით. ტელეკომპანია იმედის ეთერში 2024 წლის 26 დეკემბერს გასული სიუჟეტი იმ ფორმით რითაც ის იყო წარმოდგენილი ემსახურებოდა ერთი კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის მიუღებელი მედიის, ბიზნესმენების,პერსონის,თავისუფალი ადამიანების დისკრედიტაციის მცდელობას.“ჟურნალისტური მასალა” მიმართული იყო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების, ბიზნესების, ჩემი როგორც ტელეწამყვანის დისკრედიტაციისკენ,რისთვისაც მედიამ გამოიყენა კონკრეტულ პარტიასთან აფილირება,რაც ასევე ყოველგვარ არგუმენტს მოკლებული მცდელობაა. ჟურნალისტი სიუჟეტის ბოლოს საკუთარ შეფასებას მაყურებელს აწვდის როგორც ფაქტს (“დღესაც, ბიზნესზე ზეწოლას სათავეში უდგანან ადამიანები ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროიდან, მათ შორის სააკაშვილის ხელისუფლების პრემიერ- მინისტრი გილაური. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, ბიზნესს არეკეტებდნენ ახლა კი მათ შანტაჟის იარაღად იყენებენ.”) და ამტკიცებს რომ რეპორტაჟი, რომლის “გმირიც” გიორგი ისაკაძეა (ასე წარადგინა საინფორმაციო გადაცემის წამყვანმაც რეპორტაჟი)ბიზნესზე ახდენს ზეწოლას,არეკეტებს და აშანტაჟებს ბიზნესს, რაც სრული სიცრუეა და ამის დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი არ არის რეპორტაჟში მოყვანილი და კიდევ ერთხელ,არც იმის მცდელობა ყოფილა რომ ერთი კონკრეტული რესპონდენტის (შალვა პაპუაშვილის) ბრალდებებზე პასუხი ბრალდების ადრესატისგან მოესმინათ. პრინციპი 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება; ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ; პლაგიატი. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტის და ტელეკომპანია “იმედი”-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ფაქტის განზრახ დამახინჯებას,რადგან ჟურნალისტი ამ სიუჟეტის მომზადებისას დაეყრდნო მხოლოდ შალვა პაპუაშვილის პრესკონფერენციას, რომელიც მიეძღვნა კონკრეტულად გიორგი ისაკაძეს და მის ჩართულობას "ბიზნესის რეკეტში" 2003-2012 წწ (სიუჟეტში დასახელებულ პირებთან არათუ საქმიანი კავშირი, პირადი ნაცნობობაც არ მაკავშირებს)

სადაც ასევე ფაქტების დამახინჯებით მოხდა რეალური ვითარების გადმოცემა რომელიც უკავშირდება სს "ქართუ ბანკი"-ს გაკოტრების მცდელობასთან დაკავშირებულ საქმეს. კიდევ ერთხელ განვმარტავ: სრული სიცრუეა, “ბიზნესის გაფიცვის მოწოდებასთან” დაკავშირებული ინფორმაცია, ინტერპრეტირებულია ბანკი “ქართუს” საქმესთან დაკავშირებული ეპიზოდი; არასწორია Freebusiness.ge პლატფორმასთან ჩემი როგორც შემქმნელად წარდგენა; ტყუილია ბულინგთან დაკავშირებული ბრალდებები რომ აღარაფერი ვთქვათ პაპუაშვილის ბრალდებებზე რომლის შეფასებები და სუბიექტური აღქმების პასუხის შესაძლებლობა არც რეპორტაჟში და არც შემდეგ ამ არხზე არ მქონია.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები